საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წ, მუხლი 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 44^{7} – 44^{11} მუხლები:

„მუხლი 44^{7}. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების იმპორტის ან ექსპორტის სანებართვო პირობების დარღვევა

საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების იმპორტის ან ექსპორტის სანებართვო პირობების დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით ან/და შესაბამისი ნებართვის ჩამორთმევას.

მუხლი 44^{8}. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების ლეგალური ბრუნვის წესების დარღვევა

საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომზადების, წარმოების, გადამუშავების, შექმნის, შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, გაცემის, რეალიზაციის, შეფუთვის, მარკირების, განადგურების, გადატანის და ექსპორტ-იმპორტის წესების დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.

მუხლი 44^{9}. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების რეცეპტის გამოსაწერი სპეციალური ბლანკის შექმნის, შენახვის, აღრიცხვის და გაცემის დადგენილი წესის დარღვევა

კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების რეცეპტის შენახვის, აღრიცხვის და გაცემის დადგენილი წესის დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

მუხლი 44^{10}. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების დანიშვნის და გამოწერის წესის დარღვევა

1. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების II სიაში შეტანილი ნივთიერებების დანიშვნის წესის დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით;

2. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების II სიაში შეტანილი ნივთიერებების გამოწერისა და გაფორმების წესის დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

მუხლი 44[11]. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების ლეგალური ბრუნვის სფეროში ანგარიშების მოთხოვნის შეუსრულებლობა

კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების ლეგალური ბრუნვის სფეროში კანონმდებლობით დადგენილი ინფორმაციის მიუწოდებლობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. "

2. კოდექსის 45-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 45. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების პირადი მოხმარებისათვის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება

1. საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების პირადი მოხმარებისათვის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 600 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებები, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წლის განმავლობაში ასეთი დარღვევისათვის ორჯერ ან მეტჯერ შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი -

გამოიწვევს:

ა) ჯარიმას 2000 ლარის ოდენობით; ან

ბ) ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით 30 დღემდე.

შენიშვნა: 1. იმ შემთხვევაში, თუ პირი უარს აცხადებს შემოწმებაზე, კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების ფაქტი ითვლება დადასტურებულად.

2. ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან

თავისუფლდება პირი, რომელიც ნებაყოფლობით ჩააბარებს საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებულ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას, რომელიც მას აქვს მცირე ოდენობით და რომელიც შეიძინა ან შეინახა გასაღების მიზნის გარეშე.

3. ამ მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის თანხის გადახდისას, სახდელდადებულ პირს ეძლევა შესაძლებლობა გაიაროს მკუნალობის კურსი შესაბამის სპეციალიზებულ სამკურნალო დაწესებულებაში, გადახდილი ჯარიმის თანხის ოდენობით."

4. კოდექსის 116-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 116. სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ან სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის

1. სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით.

2. სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისათვის, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

3. სატრანსპორტო საშუალების მართვა კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით და მართვის უფლების ჩამორთმევას 3 წლის ვადით.

4. სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისათვის, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

5. ამ მუხლის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, როდესაც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელ პირს არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის, -

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელი პირისა და სატრანსპორტო საშუალების მფლობელის (მესაკუთრის) დაჯარიმებას 350 ლარის ოდენობით.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო

თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან/და სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 3 წლის ვადით.

7. ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, როდესაც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელ პირს არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

<u>**შენიშვნა:**</u>

1. პირი, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ იგი ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაშია, ან კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშაა, ან ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოიხმარა კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერება, ექვემდებარება შემოწმებას და სატრანსპორტო საშუალების მართვიდან ჩამოცილებას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი წესით.

2. იმ შემთხვევაში თუ პირი უარს განაცხადებს შემოწმებაზე, სიმთვრალის (მოხმარების) ფაქტი ითვლება დადასტურებულად.

3. პირის ალკოჰოლური სიმთვრალის ან კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის (მოხმარების) ეჭვის არსებობისას, მას ეძლევა წინადადება შემოწმების გავლის თაობაზე და ამასთან განემარტება, რომ უარის თქმის შემთხვევაში სიმთვრალე (მოხმარება) ჩაითვლება დადასტურებულად.

4. შემოწმის შესახებ დგება ოქმი.

5. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში მართვის უფლების ჩამორთმევის ვადის გასვლის შემდეგ პირს მართვის მოწმობა დაუბრუნდება სპეციალიზირებული სამედიცინო დაწესებულების დიაგნოსტირების საფუძველზე, რომლითაც დასტურდება ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების ნიშნების არარსებობა.

7. ამ მუხლის პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეექვსე ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისას პირი მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაიშვება დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემდეგ."

6. კოდექსის 117-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

7. კოდექსის დაემატოს შემდეგი შინაარსის 159^{10} მუხლი:

„მუხლი 159^{10}. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების პოპულარიზაცია და რეკლამა

ან შექმნის, მოხმარების, გამოყენების, შეძენის ადგილების
შესახებ ინფორმაციის გავრცელება, -

1. საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების პოპულარიზაცია ან რეკლამა, ან მათი შექმნის, მოხმარების, გამოყენების, შეძენის ადგილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ფიზიკური პირის მიერ, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით,

2. იგივე ქმედება, ჩადენილი იურიდიული პირის მიერ, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით."

8. კოდექსის 172-ე მუხლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**"მუხლი 172. ბავშვის აღზრდისა და სწავლების
მოვალეობის შეუსრულებლობა**

მშობლების ან მათი შემცვლელი პირის მიერ არასრულწლოვანი ბავშვის აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა ბოროტად შეუსრულებლობა, ან არასრულწლოვნის მიერ ალკოჰოლისა და კონტროლს დაქვემდებარებულ ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი